30-ს № 14-15 1886 წელსა.

მწყემსი

1883-1886

მწყემსი დამატებით გამოდის თვეში სუთჯერ, ყოველი თვის ათს, ოცს და ოც-და-ათ რიცხვებში.

რედაქციისაგან.

ბოდიშს ვიხდით ჩვენს მკითხველებთან ამ ნომრის დაგვიანებისათვის და საჭიროდ ვრაცხთ აქვე მოუთხრათ მათ მიზეზი ამ დაგვიანებისა. ყველამ, ვისაც მესტამბეებთან საქმე ჰქონებია, კარგად იცის, თუ როგორ გაჭირვებულია ჩვენში საზოგადოდ ბეჭდვის საქმე და ქუთაისში განსაკუთრებით. ჩვენ ამას წინეთ გამოვსთქვით შემდეგი სიტყვები: „სხვა-და-სხვა დამაბრკოლებელ მიზეზთა შორის ჩვენს რედაქციას აბრკოლებდნენ და საქმეს უშნელებდნენ ისეთი მიზეზები და გარემოებანი, რომელთაც სხვა რედაქციები ვერც კი წარმოიდგენენ სახეში." აი რამ გვაიძულა ჩვენ ამისი თქმა: ქუთაისში არის 3 სტამბა და რასაც ეს სამი ასრულებს, ადვილად შესაძლებელია, რომ ის ერთმა კარგად გაწყობილმა სტამბამ შეასრულოს და ორი-ხომ ადვილად. ჩვენ საქმე გვქონდა ერთ სტამბასთან დაკავებული. თუმცა საჭირო ნივთთა მოსაპოებლად ფულები სამას მანეთობით და სამი წლის განმავლობაში შვიდასი მანეთი წინეთ გადვიხადეთ ხოლმე, მაგრამ ჩვენი გამოცემის საქმე მაინც ძლიერ გამნელებული იყო. ხშირად მომხდარა, რომ ჩვენი გამოცემის ზოგიერთი ნომრები თბილისში გამოგვეცა. მომხდარა ისეც, რომ ერთი ნაწილი ერთი და იგივე ნომრის ქუთაისში დაბეჭდილიყოს და მეორე ნახევარი ამავე ნომრისა თფილისის რომელიმე სტამბაში. დასაბეჭდავ ფასსზე საჭირო არ არის ლაპარაკი. ქუთაისში ისეთი ფასი ადევს ყოველ გვარ საბეჭდავს, რომ თბილისის მესტამბეები ვერ წარმოიდგენენ.

ამისათვის ჩვენ იძულებული შევიქენით, რომ საკუთარი სტამბა გაგვემართა და კიდევაც, ღვთის შეწევნით, ძლიერ გამოცდილი და დახელოვნებული მესტამბეს აზნაური ექვთიმე ხელაძის ამხანაგობით გავმართეთ ქალაქს ქუთაისში საკუთარი სტამბა მამასახლისის და ამირალოვის სახლებში, საქალებო გიმნაზიის პირ-და-პირ. ეხლანდელი ნომრები, როგორც მკითხველი დაინახავს, არიან დაბეჭდილნი ჩვენს საკუთარს სტამბაში. მცირეს დროში ჩვენ მოვიპოვებთ კიდევ სხვა საჭირო ასოებს. ამ სახით ამიერიდგან ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი გამოცემის ბეჭდვის საქმე გაადვილებული იქნება და ამასთან იმედი გვაქვს, რომ სხვა სასულიერო და საერო ცილო პირთაც გაუადვილოთ ბეჭდვის საქმე, ვისაც ჩვენ სტამბასთან ექნება საქმე.

საქართველოს საექსარხოსოში მართლ-მადიდებელი ღვთის-მშობლის სახელობაზე დაარსებული ძმობის მოქმედებისა გამო.

ღმერთმა შთააგონა მშვენიერი აზრი საქართველოს ექსარხოსს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს პავლეს მართლ-მადიდებელი ძმობის დაარსებისა საქართველოს საექსარხოსოში, რომელსაც, ძმობას, მწყემთმთავარმა სხვათა შორის დაუდგინა ვალად საუბრების გამართვა ხალხთან გარეშე ღვთის მსახურებისა, სარწმუნოებრივი და კეთილ ზნეობრივი შინაარსის წიგნაკების გავრცელება მართლ-მადიდებელ ხალხში. მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის შესანიშნავმა მოწოდებამ დააფიქრა ყველა წამკითხველი და აღავსო სიხარულით გული ყოველთა ჭეშმარიტთა ქრისტიანეთა. ძმობის გამგეობა შეუდგა თავის პროგრამმის სისრულეში მოყვანას და გაისმა სხვა-და-სხვა ეკკლესიებში

ქადაგების ხმა. ამ ახალ დაწყებითი საქმეში შესანიშ-ნავი მჭევრ-მეტყველი მქადაგებელი, მწყემსთ-მთავარი ყველას აჩვენებდა მაგალითს, თუ როგორ მიემართათ ხალხთან. ამით მრავალთა გამხნევებულთა პირ-თა არა მცირე თესლი დასთესეს ქრისტეს ეკლე-სიის ყანასა შინა...

ძმობის გამგეობა შეუდგა სარწმუნოებრივი და კეთილ ზნეობრივი შინაარსის წიგნაკების შედგენას და მოჰფინა საქართველოში მარტო ქართულს ენაზე ოც-და ხუთი ათას ეკზემპლიარადმდე. დიდის სიხარულით და აღტაცებით მიეგებენენ ამ წიგნაკებს ქრისტიანები, რომელთ გულშიაც არ გამქრალა კიდევ ჯერეთ ქრის-ტეს სწავლა და სარწმუნოება. მრავალთა პირთა გუ-ლი დაატკბო ამ წიგნაკების კითხვამ და დააფიქრა თა-ვის ცხოვრებაზე. მრავალთა პირთაგან გამოითქვა მად-ლობა და მხურვალე ლოცვა-ვედრება ამ საქმის მო-თავისადმი, ამისანა კეთილი დაწყებულების დაარსებისა-თვის. ეჭვი არ არის, რომ ეს კეთილი თესლი დავა-რდა ზოგი კლდოვან და ზოგი ეკლიან ადგილას და არ არის იმედი, რომ იგი აღმოსცენდეს და ნა-ყოფი გამოიღოს; მაგრამ მრავალი თესლი დავარდა ადგილსა კეთილსა და პოხიერსა, რომელიც, სრული იმედია, აღმოსცენდება და კეთილ ნაყოფს მოიტანს. რამდენიც უნდა სთქვან წინიაღმდეგ ამ წიგნაკებისა, რამდენიც უნდა ილაპარაკონ ზოგიერთთა პირთა, რო-მელნიც გულგრილად უყურებენ ყველაფერ ქრისტია-ნულს, არ არის მისაღები სახეში და ყურადღების მისაქცევი. ხალხს სწყურიან სწავლა; ხალხს გულით და სულით უნდა ისმინოს და იკითხოს, როგორც ჩვენში იტყვიან, „საღმრთო საკაცებო წიგნაკები.“ ეს საქმით აშკარად მტკიცდება. ღვთის-მშობლის სახე-ლობაზე დაარსებული ძმობისგან შედგენილი წიგნა-კები ორ-ორ კაპეიკათ ისყიდება და ხალხი ამ ფასს სიხარულით იძლევა. ჩვენ დავსდევით ეკლესიაში ასი ეკზემპლიარი ამ წიგნაკებისა და ორ კვირაში წაიღეს მლოცველებმა საფასით. ასევე მოიქცნენ ჭუთაისის კათედრის სობოროში და იქაც სიხარულით მიქონ-დათ ეს წიგნაკები მლოცველებს. ხალხი ელის ჩვენ-გან სულიერ საზრდოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვაძლევთ მას თავის დროზე ამ საზრდოს. საჭი-როა უმეტესად დაფიქრდენ, როგორც ძმობის გამგე-ობა, ისე ყოველი პირი, რომელიც გულით თანა-უგრძნობს ამ ფრიად კეთილ დაწესებულების მიზანს, რომ ეს სულიერი საზრდო მიაწოდონ ყველას თავის დროზე და რაც შეიძლება მოჰფინონ ხალხში თუ კით-ხვით, თუ სიტყვით ქრისტეს სწავლა, რათა მით გა-ნამტკიცონ შესუსტებული ზნეობა და სარწმუნოება ხალხში.

ძმობის გამგეობამ მეათე ნომრით შეაჩერა ძმო-ბის ფურცლის გამოცემა მოკლე დროით. ძმობის გამგე-ობა ეხლა ჰკრებს ყოველ-გვარ საჭირო ცნობებს შესახებ ძმობის წიგნაკების გავრცელებისა ხალხში. იძიებს, თუ რა აბრკოლებს და რა უწყობს ხელს ამ საკეთილო საქმეს, რომ მომავალში სხვა-და-სხვა დაბ-რკოლებათა და ხელ-შემშლელ გარემოებათა ასცილ-დეს და დაადგეს ერთ რომელიმე მტკიცედ გაკვალულ გზას ამ საქმის წარმატებით ნიადაგ სვლაში.

ამ მშვენიერი და სასარგებლო დაწესებულებისა-გამო მრავალ ჯერ გამოგვითქვამს ჩვენი გულითადი სიხარული და ნიადაგ თვალ-ყურს ვადევნებდით გან-საკუთრებით ძმობის ფურცლების გავრცელებას თით-ქმის საქართველოს საეკლესიოს ყველა კუთხეებში. ამ დაკვირვებამ ჩვენ დაგვანახვა მრავალი, როგორც დამაბრკოლებელი, აგრეთვე ხელ შემწყობნი გარე-მოებანი, რომლებზედაც საჭიროდ ვრაცხთ წარმო-ვსთქვათ ჩვენი მოსაზრებანი სახელმძღვანელოდ ძმო-ბისა.

ჩვენ შევნიშნეთ, რომ ეს ფურცლები ზოგიერთ ბლაღოჩინებს დაშორებულ ადგილებში თავის დრო-ზე არ მისდით უმექონებლობისაგამო ფოსტის გზე-ბისა. ზოგიერთი ბლაღოჩინები ბევრად დაშორებულნი არიან ფოსტის სტანციებს, როდესაც ამ საბლაღო-ჩინოს რომელიმე მღვდელი ფოსტის განყოფილების ახლოს სცხოვრებს. ამისთანა მღვდლებს პირ-და-პირ უფრო მალე შეუძლიათ მიიღონ წიგნაკები, ვინემ ბლაღოჩინების საშვალებით. წიგნაკებს იღებენ ზო-გან ადრე და წინ-და-წინ, ორი კვირით ადრე ჰკითხუ-ლობენ ეკლესიებში არა დანიშრულ დროს. ხშირად წიგნაკები არ იგზავნებიან იმისთანა ადგილებში, სადაც ხალხს უფრო სწყურიან მათი კითხვა და სადაც უმე-ტესად შეიძლება მათი გავრცელება. დღემდის სრუ-ლებით გამოტოვილი იყო ზოგიერთი მივარდნილი დაბები და დიდი სოფლები, სადაც ამ წიგნაკების გავ-რცელება უმეტესად შეიძლებოდა. ვნახეთ ჩვენ რამ-დენიმე კეთილ-მორწმუნე ქრისტიანები რკინის გზის სტანციებში, რომელთაც გარდავეცით წიგნაკები გა-საერცელებლად და, სასიხარულოდ, მრავალი მსურვე-ლი აღმოჩნდა მათი საფასით მოპოებისა. თვითონ ჩვენ გვქონდა ეს წიგნაკები ერთხელ ვაგონში, ასი წიგნაკი უცფათ დაიტაცეს ვაგონებში მყოფმა მოგზა-ურებმა და მეტის მიცემა რომ შეძლებიყო, მთხოვ-

ნელები მრავალი იყო. ყველა ეს გარემოებანი ამტკიცებენ, რომ ჩვენ ჯერ-ჯერობით ამ ფურცლების გავრცელების საქმე მოწყობილი არა გვაქვს და თუ ხერხიანად და მარჯვეთ მოირთო ეს საქმე და მტკიცედ გაიკვალა სამუდამო გზა, დარწმუნებული ვართ, რომ მათი გავრცელება ხალხში ერთი ორად და ერთი სამად თავის თავად გაძლიერდება, მხოლოდ ძმობისაგან მოითხოვება თაოსნობა და ხელმძღვანელობა. საჭიროა ძმობამ იყოლიოს ზოგიერთ ალაგებში წიგნაკების მატარებლები. საჭიროა დაბებში და ქალაქებში ჰქონდეს გასასყიდელი წიგნაკები სანდო პირებთან და წიგნების მაღაზიებშიაც. საჭიროა ჰქონდეს ერთ უმთავრეს ადგილას პატარა წიგნთ-საცავი. საჭიროა წიგნაკები იცემოდეს სურათებით, თუ ეს ძვირად არ დაუჯდება ძმობას და სხვა და სხვ. ერთი სიტყვით ვაქებთ ძმობის გამგეობის მოქმედებას, შრომას და მეცადინეობას ამ პირველ შემთხვევაში, მაგრამ დიდი მოფიქრება, დიდი გამჭრიახობა მოითხოვება კიდევ ამ გამგეობისაგან.

საშიშარი მკვლელობა.

საშიშარმა ბოროტებამ, რომელიც შეასრულა ბოროტმა პირმა ოც-და-ოთხს ამა მაისის თვისას, მოუსპო სიცოცხლე თბილისის სემინარიის რექტორს, მამა დეკანოზს პავლე ივანეს ძეს ჩუდეცკის, ამ მრავალ სასარგებლო პირს. ამ საშიშარმა ამბავმა გააშტერა და ღრმად შეაწუხა ყველა, ვინც იცნობდა მამა დეკანოზ ჩუდეცკის, როგორც კაცს გულით და სულით თავის საქმეზედ მიმდგარს, კაცს გულ-კეთილს და შესანიშნავ მორწმენეს. ის ყოველთვის ფიქრობდა და ზრუნავდა თავის შაგირდებზე და ხმარობდა ყოველ ნაირ ზომებს, რომ დაეცვა იგინი ზნეობითი და გონებითი დაცემისაგან. ამისათვის ყოველ ღონის-ძიებას ხმარობდა, რომ სემინარიელები მოეშორებინა იმისთანა პირთა დაახლოვებას, რომელნიც მათზე ცუდად მოქმედებდენ. ის არა თუ გარეშე ამისთანა გავლენას აშორებდა სემინარიელებს, არამედ, როდესაც სემინარიაშიაც შენიშნავდა ამ გარეშე ბოროტ პირთა გავლენით გაფუჭებულ მოწაფეს, ყოველი ღონის-ძიებით ცდილობდა, რომ იგი მოეშორებინა სხვა დანარჩენი ამხანაგებისათვის, რომ ამისთანა გაუსწორებელ შაგირდს სხვა მრავალი მოწაფე არ გაეფუჭებია ზნეობით და გონებით. აი ერთი ამისთანა განშორებული მოწაფე, მოდგმით ოსი და არა იმერელი, როგორც შეცდომით ამბობდა გაზეთი „კავკაზი,“ ხანჯლით ხელში შეუარდა რექტორს თავის სახლში და როგორც მხეცი დაეცა თავის მსხვერპლს და მოჰკლა იგი. იმან როგორც მამამ და კეთილმა მწყემსმა თავისი სული დასდვა დასაფარავად შვილთა, რომელნიც მას ებარნენ გამოსაზრდელად და განისვენა საუკუნოდ. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კეთილო მოძღვარო, მამაო დეკანოზო პავლე, ღმერთი მოგაგებს შენ შენი მოწამებრივი ცხოვრების აღსრულებისათვის გვირგვინსა, რომელიც განმზადებულია მართალთათვის!

— კვირას, 5 საათზე გადაასვენეს განსვენებულის გვამი სემინარიის შენობიდამ, პანაშვიდის გადახდის შემდეგ, კუკიის პეტრე-პავლეს ეკლესიაში. პანაშვიდი შეასრულა მაღალ ყოვლად სამღვდელომ საქართველოს ექსარხოსმა, არქიეპისკოპოსმა პავლემ, ეპისკოპოსის ალექსანდრეს და მთელი ქალაქის სამღვდელოების თანა-დასწრებით. სემინარიის შენობიდამ გასვენების დროს გაუძღვნენ კუკიის ალექსანდრენევსკის ეკლესიამდის საქართველოს ექსარხოსი, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, მთელი ქალაქის სამღვდელოება, სემინარიის მოწაფენი და აუარებელი ხალხი. განსვენებულს პატივისცეს და დაესწრნენ განსვენებაზე მთავარ-მართებელი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი, სამასწავლებლო ოლქის მზრუნველი და სხვა მრავალი დიდ-კაცობა. ორშაბათს, 26 მაისს წირვის და წესის აგების შემდეგ დაასაფლავეს ალექსანდრენევსკის გალავანში. დიდი მწუხარება იყო ყველას პირის სახეზე ასე უდროოდ სასარგებლო კაცის დაკარგვისა გამო და ზიზღით მოიხსენებდნენ მკვლელს.

ალექსანდროპოლიდამ.

8 მაის ჩვენს ქალაქში მობრძანდა მაღალ უსამღვდელოესი პავლე, ექსარხოსი საქართველოისა, რომელმაც ამ დღეებში დაათვალიერა ერევნის გუბერნიის და ყარსის მაზრის მართლ-მადიდებელი ეკკლესიები. მათ მაღალ უსამღვდელოესობას ქალაქ გარეთ შეხვდა ადგილობითი მაზრის მეუფროსენი. ხუთი საათი იყო ნაშუადღევისა, როცა ყოვლად უსამღვდელოესი შემობრძანდა ქალაქში და პირ-და-პირ შებრძანდა ბერძნის ეკკლესიაში, სადაც დაუხვდენ მას ადგილობითი მართლ-მადიდებელი სამღვდელოება, ჯარის უმაღლესი სამხედრო უფროსი და ქალაქის წარმომადგენელნი. უსამღვდელოეს ძალიან ცოტა ხნით უნდოდა დარჩენა ქალაქში, მაგრამ ალექსანდროპოლის ჯარის უფროსის, გენერლის ფონ-შაკის შუამდგომლობას სცა პატივი და გარდაწყვიტა უსამღვდელოესმა დარჩენა. გენერალი ფონ-შაკი სთხოვდა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, რომ მას ეკურთხებია ტაძარი, რომელიც აღშენებულია სასაფლაოზე, წოდებულს «გორაკი პატიოსნებისა». მეორე დღეს მაღალ უსამღვდელოესმა ექსარხოსმა დახედა მართლ-მადიდებელ ეკკლესიას ციხეში, სადაც ადგილობით სამღვდელოების თანა დასწრებით შესრულდა წირვა. ამ ღვთის მსახურების დროს ვრცელი ტაძარი სრულებით სავსე იყო ქალაქის მცხოვრებლებით და ჯარის კაცთაგან.

10 მაის მისმა მაღალ უსამღვდელოესობამ აკურთხა ტაძარი, რომელიც აღშენებულია მიხაილ თავარანგელოზის სახელობაზე «გორაკსა ზედა პატიოსნებისასა». აქ უადგილო არ იქნება, რომ რამდენიმე სიტყვა ვსთქვათ ამ ისტორიულ ძეგლზე, რომლის სახელთან შეერთებულია ჩვენი იარაღის დიდება, რომელმაც მოიხვეჭა დაუჭკნობელი გვირგვინი სათათრეთის სომხეთის მინდვრებში.

«გორაკი პატიოსნებისა» არის სასაფლაო, რომელშიაც განისვენებენ გვამნი მრავალთა მხედართა, რომელთაც დაანთხიეს სისხლი თათრებთან ჩხუბის დროს 1853—1855 და 1877—1878 წლებში. აქ გენარლების: ზეიმანის და ლორის მელიქოვის (ივანესი), სოლოვიევის და სხვათა, რომელთა სახელები მოხსენებულნი არიან ჩვენი ქება მოსული ჯარის მატიანეს აღწერილობაში,—კაცი ხედავს სხვათა მხედართა სასაფლაოებს, რომელნიც მოწმობენ, თუ რა პატიოსნად ემსახურებოდნენ ისინი თავის მოვალეობას და როგორ შესწირეს სამშობლოს სამსახურს თვით უძვირფასესი კუთვნილება კაცისა- თავისი სიცოცხლე. რომ საუკუნოდ დარჩენილიყო ხსენება იმ მხედართა, რომელთაც შესწირეს თავის სიცოცხლე ჩხუბში, კავკასიაში ნამესტნიკად ყოფილმა, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია ამ „პატიოსნების გორაკს“ და „წითელის ჯვარის“ საზოგადოების შემწეობით ბრძანა, რათა ამ გორაკისთვის შემოეყოლებიათ ქვითკირის ზღუდე ორი შესავალი რკინის ალაყაფის კარებით და შიგ აეშენებიათ მშვენიერი ეკკლესია მშვენიერი კანკელით. ამ შენობათა აგებას დასჭირდა 30,000 მანეთი და კიდევ აქამომდე მთლად არ იყვნენ მოთავებულნი.

10 მაის, დილის 9 საათზე ამ სასაფლაოს და ეკკლესიის გარშემო დაყენებულნი იყვნენ ჯარები, რომელნიც უნდა დასწრებოდნენ ეკკლესიის კურთხევას. მალე მობრძანდა მაღალ უსამღვდელოესი ექსარხოსი და შეუდგა თავარ-ანგელოზის მიხაილის სახელობაზე აგებული ეკკლესიის კურთხევას.

ეკკლესიის კურთხევის დროს საქართველოს ექსარხოსმა წარმოსთქვა შემთხვევის შესაფერი სიტყვა, შემდეგი შინაარსისა:

„კურთხეულ არს უფალი ღმერთი, რომელმაც თავის მადლით განსწმიდა ეს წმიდა ტაძარი და რომელმაც ღირს-ჰყო ის თავის საცხოვრებლად, თავის წმიდა სახლად! და კურთხეულ იყვნენ ყველა ის კეთილ მორწმუნე ქრისტიანენი, რომელნიც თავისი აზრით, თავისი მზრუნველობით, შრომით და მსხვერპლით ხელს უწყობდნენ ამ ტაძრის აღშენებას და მოწყობას კავკასიის მხედართა სასაფლაოზე! ამის შემდეგ მათი გვამნი განისვენებენ ღვთის წმიდა სახლის ქვეშ. ამის შემდეგ მათი გვამნი იქნებიან ეზოთა სახლსა ღვთისა ჩვენისათა (დავ. 133,1), ხოლო მათი სულისათვის თვით მათი გვამების ზემოდ შეიწირება ღვთისადმი ყოვლად მაცხოვნებელი მსხვერპლი, შეწირება ხორცი და სისხლი ქრისტე მაცხოვარისა. სწორეთ სარწმუნო ნიშანია ეს მათი სულების ცხოვნებისათვის!

ეს სასაფლაო, რომელიც სავსეა ძლევა მოსილი მხედრების ძვლებით, რომელთაც თავი შესწირეს სამშობლოს, მაგონებს მე იმ დიდ მინდორს, მინდორს მოფენილს ძვლებით, რომელიც იხილა წმ. წინასწარმეტყველმა ეზეკიამ და რომელიც, მინდორი, იყო მომასწავებელი მთელი კაცობრიობისა, რომე-

ლიც ცოდვისა გამო გახდა სიკვდილის მსხვერპლად. ყველა ეს მძვლები იყვნენ ძალიან ხმელნი, მაგრამ ღვთის ძალა აცოცხლებს მათ. უცვეფ შეიქნა ხმაურობა და მოძრაობა და მძვლები უახლოვდებიან ერთი ერთმანეთს, ე. ი. მძვალი ეკვრის თავის მძვალს... მათზე იყო ძარღვები, და ხორციც ამოუიდათ და ზეიდამ ისინი დაფარა ტყავმა; და ბოლოს მათში შთაიდა სული და აღსდგა ფეხზე ძალიან დიდი ჯარი (ეზეკ. 37,1—10). ეს ხმელი მძვლების აღდგომა წინასწარმეტყველის ხილვაში არის მომასწავებელი ყველა კაცობრიობის მკვდრეთით აღდგომისა უკანასკნელსა დღესა. ყველა ხალხთან ერთად აღსდგებიან მძვალნი აქა მდებარე მხედართა, აღსდგებიან მხედარნი, რომელნიც ამ სასაფლაოზე განისვენებენ.

«მაგრამ მკვდრეთით აღდგომილ კაცთა მომავალი სვე ერთი და იგივე არ იქნება: კეთილის მომქმედნი აღსდგებიან საუკუნო ცხოვრებისათვის, ხოლო ბოროტის მომქმედნი საუკუნო ტანჯვისათვის (იოან. 5, 29). ვარწამს ჩვენ, რომ საუკუნო ცხოვრებისათვის აღსდგებიან აქა მდებარე ჩვენი ძმანი, კავკასიის მხედარნი, ისინი, რომელთაც შეიყვარეს ღმერთი, სარწმუნოება, მეფე და სამშობლო ისეთი სიყვარულით, რომ მზათ იყვნენ თავის თავი შეეწირათ და ამით მათ ისეთი საქმე ჩაიდინეს, რომლისათვის მათ უფალი მიაგებს დიდ ჯილდოს სასუფეველსა შინა. ხოლო ცოდვები, რომელნიც მათ ჩაიდინეს ნებით თუ უნებლიეთ, მიეტოვებათ მათ წმიდა ეკლესიის ლოცვით, განსაკუთრებით უსისხლო მსხვერპლის შეწირვით, რომელიც შეიწირება ამ ტაძარში მათი სულის მოსახსენებლად. ნეტარება თქვენ, განსვენებულნო მხედარნო კავკასიისანო!

«თქვენთვისაც, მხნე წინამძღოლნო და მხედარნო, იყოს გამამხნევებელი თქვენ ფრიად საძნელო სამხედრო სამსახურის აღსრულების დროს ის რწმუნება, რომ წმ. ეკლესია და რუსეთი არას დროს არ ივიწყებენ მათ, რომელნიც მათ სასიკეთოდ სწირავენ თავს. ისინი სამაგიეროს უხდიან თავიანთ მხედართ მით, რაც უფრო სასარგებლოა მათი სულისათვის, მათი საუკუნო ცხოვნებისათვის, ე. ი. ლოცვილობენ მათთვის და სწირავენ უსისხლო მსხვერპლს ცოცხალთა და გარდაცვალებულთა მხედართა საუკუნო ცხოვნებისათვის. აღიხოცებიან მიწის ზურგიდამ თქვენი კეთილნი, ნაცნობნი და მეგობარნი თქვენნი; შეიძლება ყველამ დაგივიწყოს თქვენ, მაგრამ ეკლესია და რუსეთი არ დაგივიწყებენ თქვენ არას დროს და თავისი მუდმივი ლოცვით, თუმცა სათითოოულოდ არ მოიხსენებენ თქვენს სახელებს, მაგრამ საუკუნოდ იშუამდგომლებენ თქვენთვის ღვთის წინაშე. ხოლო ის, ყოველად მოწყალე, თავისი საყვარელი ძის ჯვარცმითი მოქმედების წყალობით და ეკლესიის ლოცვისა გამო, ყველა თქვენთაგანს ღირს ჰყოფს ძედ თვისად და დაგამკვიდრებსთ თქვენ, სადაც მართალნი განისვენებენ.

«საუკუნო ხსენება თქვენ, აქ განსვენებულნო მხედარნო. საუკუნოდ იყოს თქვენი ხსენება, სანამ არ იქნება აღდგომა საუკუნო ცხოვნებისათვის. ხოლო თქვენ, ცოცხალნო მხედარნო, იცოცხლეთ მრავალსა წელსა სადიდებლად და საბედნიეროდ რუსეთისა.»

მლოცველნი მრავალნი იყვნენ შეკრებილნი, ამას ხელს უწყობდა მშვენიერი გაზაფხულის დღეები. ტაძრის კურთხევის შემდეგ სასაფლაოზე მაღალ უსამღვდელოესმა გადიხადა პანაშვიდი განსვენებულ მართლ-მადიდებელ მხედართათვის, ხოლო ეკლესიის კურთხევის შესახებ გაგზავნა შემდეგი ტელეგრამები.

ხელმწიფე დიდ-მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს.

ეს ეს არის ვაკურთხე მთავარ-ანგელოსის მიხაილის სახელობაზე აგებული ტაძარი „პატიოსნების გორაკზე“ ქ. ალექსანდროპოლში. ლოცვილობდნენ ჯან-მრთელობისათვის ხელმწიფე იმპერატორისა, ხელმწიფე-იმპერატრიცის, ხელმწიფე ცეზარევიჩისა, თქვენი უდიდებულესობისა და დიდის დედოფლისა და განსვენებისათვის სულისა ხელმწიფე-იმპერატორ ალექსანდრე ნიკოლოზის ძისა და განსვენებულთა მართლ-მადიდებელთა მხედართა. მე, გენერალი ფონ-შაკი, ყველა გენარლები და ჯარები ულოცავთ თქვენს უდიდებულესობას ამ შემთხვევას.

პავლე, ექსარხოსი საქართველოისა.

თავადს დონდუკოვ-კორსაკოვს.

„დღეს ჩემ მიერ იკურთხა ტაძარი, მთავარ-ანგელოზის მიხაილის სახელობაზე აგებული, «პატიოსნების გორაკზე» ქ. ალექსანდროპოლში. მე, გენერალი ფონ-შაკი, ყველა გენერლები და ჯარი ულოცავთ თქვენს აღმატებულებას ამ შემთხვევას.»

პავლე, ექსარხოსი საქართველოისა.

ამ დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე მისი მაღალ-უსამღვდელოესობა ექსარხოსი საქართველოისა წაბრძანდა ქ. ყარსში.

ეკლესიის კურთხევის გამო გაგზავნილ მისალოცავ ტელეგრამმებზე, მისმა მაღალ უსამღვდელოესობამ, არქიეპისკოპოსმა პავლემ მიიღო შემდეგი საპასუხო ტელეგრამები მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის, 11 მაისს, აიტოდობადიდამ და მთავარ-მართებლის თავად ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვისაგან, 12 მაისს, იალტიდამ:

„მალიან მადლობელი ვარ თქვენი სიყვარულობითი ტელეგრამმისათვის, ჭეშმარიტად მიხარია ტაძრის კურთხევა შესანიშნავ „პატიოსნების გორაკზე." საუკუნო ხსენება ყველა მასზე განსვენებულთ. გულითადად ვმადლობ გენერალ შაკს და ყველა დამსწრეთ."

„მ ი ხ ე ი ლ ი"

„მივიღე თქვენი ტელეგრამმა იალტაში. გულით თანაუგრძნობ ეკკლესიის კურთხევას სახსოვრად გარდაცვალებულთა ჩემ ძვირფას თანამოსამსახურეთა." („Кавказъ")

„თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი."

შორაპნის მაზრიდამ.

ჩვენი მაზრის დაბალ ხალხში ისე არ არის სწავლის სურვილი აღძრული, როგორც ქვემო-იმერეთის მცხოვრებლებში. ამას ამტკიცებენ, სხვათა შორის, შემდეგი მაგალითები: ქვემო-იმერეთში თითქმის ყოველ საზოგადოებაში არის სასოფლო სკოლა; სკოლაში დაიარებიან ბევრი ყმაწვილები. სასოფლო სკოლების მასწავლებლებს ბევრგან 240-400 მანეთამდი ჯამაგირი ეძლევათ საზოგადოებისაგან წელიწადში. ჩვენსკენ კი ბევრი საზოგადოება არის, სადაც სკოლები არ არსებობენ. ბევრგან თუმც სკოლისათვის სახლები დაუდგამსთ და ცოტა ჯამაგირებიც დაუნიშნავსთ მასწავლებლებისათვის, მაგრამ დღეს ეს სკოლები უქმად სდგანან და ნახევრობით დანგრეულნი არიან. სადაც არის სკოლები, იმაებშიაც 10-20 მეტი ყმაწვილი არ დაიარება და მასწავლებელს ძვირათ თუ სადმე აქვს 180-220 მანეთზე მეტი ჯამაგირი წელიწადში. რით აიხსნება ეს სამწუხარო მოვლენა? ზემო-იმერეთი მოსავლით უფრო მდიდარია და ხალხსაც უფრო სახსარი მოეძებნება, რომ სასოფლო სკოლების მასწავლებლებს შესაფერი ჯამაგირები დაენიშნოს. მაგრამ, საუბედუროდ, ამას ვერ ვხედავთ. ამის მიზეზი, ჩემის ფიქრით, უნდა იყოს ის, რომ ჩვენი კუთხე დაშორებულია ქალაქებს, ხეირიან მისავალ-მოსავალ გზებს და განათლებულ ხალხს. მეორედ ხალხს სახნავ-სათესი ადგილების უმექონელობისა გამო დიდი შრომა სჭირდება და თავის პატარა შვილებს არ უშვებს სკოლებში სასწავლებლად.

ზემოთა ვსთქვით, რომ ზემო-იმერეთში ხალხი ნივთიერის მხრით კაი მდგომარეობაშია, მაგრამ სკოლისათვის კი არას ხარჯავს და სადაც ხარჯავს, ეს ხარჯიც ისე მცირეა, რომ სკოლას არ შეუძლია არსებობა. ამავე დროს ეს ხალხი უფრო ბევრს ხარჯავს სხვა-და-სხვა დღეობაებზე და უბრალო ჩვეულებათა შესრულებისათვის, ვინემ სკოლებზე. სწორეთ ეს დღეობაები და ცრუ-მორწმუნეობანი ალარიბებენ ჩვენებურს ხალხს. მაგალითისათვის ავიღოთ დღეობაები და მიცვალებულების დასაფლავება და ვნახოთ, თუ რა ხარჯს ეწევა ხალხი მათი შესრულებისათვის. ჩვენში, როგორც ყველგან მთელს საქართველოში, ყოველ სოფელში ხალხი ასრულებს სხვა-და-სხვა ეკკლესიურ დღესასწაულებს; მაგრამ ამ დღესასწაულებს ისე არ ასრულებს ხალხი, როგორც ამას მოითხოვს ქრისტეს სჯული. ვსთქვათ, ეკკლესია არის აგებული იოანნე ნათლის-მცემლის სახელობაზე, სოფლელები ამ დღეს დღესასწაულობენ რაღაც კოხინჯრობას და სხვათა. უმოწყალოდ და უმნიშვნელოდ ხარჯვენ ღვინოსა და პურს. ყოველი დღეობის წინ ხალხი რაღაც მხიარულებასა გრძნობს, ორი დღით შეუდგება მზადებას. ამზადებს პურებს, ქირაობს ცხენებს და დანიშნულ დღეს თითქმის მთელი ოჯახობა სტოვებს სახლს და მიემგზავრება მახლობელ სოფელში სადღესასწაულოდ. მიდის თავის მასპინძელთან, ცოტას ისვენებს, პურსა სჭამს და მერე მიდის ეკკლესიაზე, ვითომ ღამის სათევად. მაგრამ ნაცვლად ღვთის ვედრებისა, ხალხი ცუდად ატარებს მთელს ღამეს. მეორე დღეს, დილით ადრე, მოდის მღვდელი ეკკლესიაზე ცისკრის სალოცავად, მაგრამ ლოცვის დროს

ერთ ღამის მთეველსაც ვერ ნახავთ ეკლესიაში ლოცვის მოსასმენად. შეასრულა მღვდელმა ცისკარი და ცოტა ხნის შემდეგ შეუდგა წირვას. ეკლესია ნახევრობით ცარიელია. რას შვება ამ დროს ხალხი? ის ამ დროს სდგას ეკლესიის გალავანში, ლაზღანდარობს და ცეკვა-თამაშში ატარებს დროს. როცა წირვა გათავდება, მხოლოდ მაშინ შედის ეკლესიაში და მიაქვს შესაწირავად სანთელი, თითო კაპეიკი და ან თითო პური. ბაათავა შეწირვა. შემდეგ ხელ-ახლავ იმართება ეკლესიის გალავანში ცეკვა, მუზიკის ჭიჭყინი, ჩხუბი და სხვა უწესო მოქმედებანი. ამის შემდეგ ხალხი მიდის თავის მასპინძლებთან სადილის საჭმელად და მერე ისევ ეკლესიაზე გამოდის და აქედამ ხშირად თავ-სისხლიანები ბრუნდებიან თავიანთ სახლებში და ზოგი საუკუნოდ ესალმება ამ ქვეყანას. ზოგიერთი დღეობა სამი-ხუთი დღეც გრძელდება და ამ დროს ჩვენი ხალხი ხარჯავს წლის მოსავალს. სოფელი არ იქნება, რომ ამისთანა დღეობებზე 3000 მანეთამდე არ ხარჯავდეს. ამავე დროს ზოგიერთ საზოგადოებას, რომელიც ხშირად რამდენიმე სოფლებიდგან შესდგება, უჭირს, რომ ერთი კაი სკოლა შეინახოს და მასწავლებელსაც შესაფერი ჯამაგირი დაუნიშნოს.

ამაზედ უმეტეს ხარჯს ეწევა თითოეული ოჯახი მიცვალებულის დასაფლავებაზე. როდესაც რომელიმე ოჯახში გარდაიცვლება ვინმე, მოისმის ერთი წვიალ-კივილი ჭირისუფლებისა. ამ ხმაურობაზე მოიყრიან თავს მეზობლები ნუგეშის მისაცემად. ტირილის შემდეგ შეექნებათ ბაასი, თუ როგორ გაასვენონ მიცვალებული. სიტყვა: «დავმარხოთ» უფრო დამღუპველია ჩვენებური მეოჯახესთვის, ვინემ ოჯახის წევრის დაკარგვა. დიდი რჩევის შემდეგ დაადგენენ, რომ მოიწვიონ ყველა თავის ნათესავნი და ნაცნობები. ამიტომ, რა ათასი ღარიბი იყოს მიცვალებულის პატრონი, ვალს იღებს და ამ აღებული ვალით ყიდულობს საჭირო პურს და ღვინოს. დანიშნულს დღეს მოდიან მომტირალნი მოზარეებით. სტირიან მიცვალებულს, მერე დაჯდებიან პურის საჭმელად და ხშირად ისეთი სმა შეექნება, რომ მიცვალებული და მისი ჭირისუფლები კიდეც ავიწყდებათ მომტირალთ და კაცი აღარ ჩნდება, რომ მიცვალებული აიღოს და ეკლესიაზე გაასვენოს. მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ ხალხი ბრუნდება ჭირისუფალთან და ნახევრობით იმ ღამეს იქვე ათევს ღამეს და მეორე დღეს, სადილის შემდეგ, მიდის სახლში. ჭირისუფლის ხარჯი რომ ვიანგარიშოთ და მასთან ხალხის გაცდენა, სულ რომ ცოტა, თითო მიცვალებულის დამარხვა ჯდება საშუალო რიცხვით 200—300 მანეთი. ამის შემდეგ ჭირისუფალი თადარიგს იჭერს, რომ თავის დროზე გადუხადოს მიცვალებულს ხელის გახსნა, ორმოცი, აღაპი, ტაბლა დაუდგას მთელი წლის განმავლობაში და მერე მიცვალებულს გადახადოს წლის თავი. ესენი ეს ხარჯები მთლად ღუპავენ ჩვენს ხალხს. ავათმყოფობის დროს კი არ ზრუნავენ, რომ ცოტა-ოდენი ფული დახარჯონ წამლებზე და ექიმს აჩვენონ ავათმყოფი და როცა კაცი უპატრონობით კვდება, მაშინ კი აღარას ზოგავენ მისთვის. ბევრსა სურს, რომ ამდენ ხარჯს თავი დაანებოს და უბრალოდ დაასაფლაოს მიცვალებული, მაგრამ რცხვენია სხვისა. ამ შემთხვევაში გშირად გაიგონებთ ზოგიერთი პირებისაგან: „სიკვდილი ვიტირო, თუ ხარჯიო!“ ერთი სიტყვით ჩვენს ხალხს ერთმანეთის წამხედურობა ღუპავს.

ამ „ტაბლობას“ და „აღაპობას“ სწორეთ რომ ქრისტიანული არა აქვს რა. ტაბლობას და აღაპობას ეითომ მიცვალებულის სულის საოხათ მმართვენ, მაგრამ ნაცვლად მისა, რომ ამ ტაბლობაზე და აღაპებზე მოიპატიჟონ ქვრივ-ობლები, საწყლები და გაჭირვებულნი, ჭირის-უფლებს მოაქვსთ ხორაგი ეკლესიაზე, ანუ თავიანთ სახლებში იპატიჟებენ მრავალ პირთ. შეიქნება ერთი სმა და ხან-დის-ხან საქმე იქამდის მიდის, რომ ხანჯლების და კეტების ტრიალიც შეექნება.

ამ შემთხვევაში დაბალი ხალხი მისდევს სამღვდელოების და თავად აზნაურობის მაგალითს. მაგრამ ზოგ შემთხვევაში პირველნი კიდეც აჭარბებენ უკანასკნელთ. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან უსწავლელი ხალხი, როგორც ბოვში, მაგალითით ცხოვრობს. ამიტომ სანატრელია, რომ თავად-აზნაურნი და სამღვდელოება მაგალითს უჩვენებდენ დაბალ ხალხს და მოასპობინებდენ მას ამ ოჯახის უბრალო და დამღუპველ ხარჯებს.

ბლიდ. მღვ. ი. წერეთელი.

თბილისიდამ

შარშანწინ „მწყემს“-ში ერთი პატივცემული მღვდელი ასათიანი სწერდა, რომ მე ჩემს სამწყსოში ხალხს ზოგიერთი ცრუ-მორწმუნეობანი მოვაშლევიეო. ამ წერილის დაწერის შემდეგ სხვა მოძღვართაც მიაქციეს

ამ საქმეს ყურადღება და შეუდგნენ, შეძლებისა და გვარად, ხალხის ზოგიერთა დამღუპველ ამაოდ-მორწმუნეობათა მოსპობას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საქმეს პირველად იმერთ მიაქციეს ყურადღება, თუმცა იქ სამღვდელოების უმეტესი ნაწილი სასწავლებელში სწავლა მიუღებელია, არიან აგრეთვე ზოგნი, რომელთაც ოთხ-კლასიან სასწავლებლებში უსწავლიათ და კურსიც შეუსრულებიათ. სემინარიაში კურს შესრულებულნი დღესაც თუ იქ 15 იქნება, ისიც დიდია. თუ ოდესმე ამ მხარეში სემინარიაში კურს შესრულებულნი პირნი გამრავლდნენ და მასთან, თუ მათ კარგად შეთვისებული ექმნათ ხალხის სიყვარული, ჩაგრულთ დახმარება, დევნულთ პატრონობა და გონება გაუხსნელთ გონების გახსნა, მაშინ ესეთი პირნი დიდ შემწეობას აღმოუჩენენ თანა მედროვე ხალხს.

აქვე უნდა მოვიხსენოთ, რომ ქართლის სამღვდელოება თუმც უმეტესად სემინარიაში კურს შესრულებული არის, მაგრამ ამ საქმეში არ იჩენს ისეთ სიმხნეს, როგორსაც იმერნი. შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ქართლში უფრო გავრცელებული არ იყოს ხალხის ასეთი დამღუპავი სენი, მაგრამ ამის თქმა არ შეიძლება. სხვა-და-სხვა ამაოდ მორწმუნეობათ აქეთკენ უფრო მტკიცედ აქვსთ ფესვი გადგმული და თვალ-საჩინოდ ღუპავენ და აღარიბებენ ჩვენი სოფლის ხალხსა. მაგრამ რას ვამბობ, განა ეს მავნებელი სენი მარტო სოფლებშია? სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სენი ჩვენს ქალაქებშიაც საკმაოდ არის გავრცელებული. აავიღოთ თუნდა ჩვენი თბილისი. ბგონებ არც ერთ სოფელში არ იყვნენ იმდენი მკითხავები, ჯადომ-ბაზები და მელობიენი და სხვა მკითხავები, რამდენიც ამ ჩვენს ქალაქ თბილისში ბუდობენ და უსწავლელ ხალხს შეუბრალებლად ჰყვლეფენ. ერთ კუთხეს ვერ ნახავთ ქალაქში, რომ ასობით არ ბუდობდნენ მკითხავები. ჩემის აზრით სამარცხვინო უნდა იყოს ეს ქალაქისათვის, მით უმეტეს, რომ ქალაქებში უფრო განათლებულნი პირნი არიან და ასეთი მავნებელი სენი კი ცოტათი მაინც არ შემცირებულა.

მკითხავები ისე გამრავლდენ თბილისში, რომ ადგილობითი გაზეთებმაც მიაქციეს ამას ყურადღება და აღნიშნეს, რომ თბილისი ლამის მკითხავების ბუდედ გადაიქცესო. ეს ფაქტია, მაგრამ ამას შველაც უნდა. როგორ მოვსპოთ ეს სენი და ან ვინ უფრო ეალდებულია ამას ყურადღება მიაქციოს, აი საქმე, რომელიც ითხოვს დაუყოვნებლივ შველას.

ვის უფრო უნდა მოვსთხოვოთ ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს, თუ არა ჩვენი ქალაქის სამღვდელოებას, რომელიც სხვაზე უფრო დაახლოებულია ხალხთან. ამიტომ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ქალაქის სამღვდელოება მხნედ შეუდგება ამ საქმეს და ერთობით იმოქმედებს მკითხავების წინააღმდეგ და შეაგონებს უსწავლელ ხალხს, რომ მან არ გაუგონოს ამ მატყუართა. ამით დიდს სამსახურს გაუწევენ ჩვენი მღვდლები გაუნათლებელს ხალხს და დაიხსნიან მას. რომელიმე მკითხავთან რომ შეხვიდეთ თბილისში, გაჰკვირდებით, და იფიქრებთ, რომ აქ რამე საასამართლო ადგილიაო. ხალხი ისე ბლომათ ახვევიათ მკითხავებს, რომ კაცი დროს ვერ იშოვის, თუ საათობი არ იცადა. ქალაქ თბილისიდგან ზოგიერთი აქაური მკითხავები სოფლებში გადიან და იქ დიდ ძალს ფულებს ჰკრებენ უმეცარ ხალხში, რომელსაც მკითხავები ღვთისგან მოვლენილ კაცებად მიაჩნია.

თბილელი.

რაჭიდან.

მთელი რაჭის მაზრა განიყოფება ორ უმთავრეს ნაწილად. ეს ნაწილები ერთი მეორისაგან ისაზღვრებიან „ხიდის კარის კლდით“. ამ კლდიდამ დასავლეთით სძევს ქვემო რაჭა, რომელიც თავდება «ასკის» მდინარესთან. მეორე ნაწილს, რომელიც «ხიდის კარის კლდიდგან» აღმოსავლეთითა სძევს, ეძახიან ზემო რაჭას, რომელიც გრძელდება «მამისონის» მთამდის. ქვემო რაჭა როგორც მცხოვრებლების რიცხვით, აგრეთვე ადგილის სივრცით მეტია ზემო რაჭაზე. მოსავლითაც ქვემო რაჭა სჯობს ზემო რაჭას.

მთელს რაჭის მაზრაში სულ 14 სასოფლო სკოლაა გახსნილი, აქედგან ათი სკოლა ქვემო რაჭაშია გახსნილი და 4 ზემო რაჭაში. ამ ზემოთ აღნიშნულ სკოლების დაარსებაში დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის რაჭის მაზრის უმფროსად ყოფილს აწ განსვენებულს ჩიჯავაძეს. განსვენებული დაიარებოდა სოფლებში და აგონებდა ხალხს სწავლა-განათლების მნიშვნელობას და საჭიროებას. ქვემო რაჭის საზოგადოებათა გაუგონეს თავის უმფროს და თავიანთი განჩინებებით დაარსეს სკოლები და მასწავლებელთ დაუნიშნეს 200 მანეთამდე წლიური ჯამაგირი. ქვემო რაჭის მცხოვრებთ შორის სწავლის სურვილიც ძალიან არის გახსნილი. ეს, სხვათა შორის, მტკიცდე-

ბა იმითი, რომ სკოლები სავსენი არიან ყმაწვილებით და მასწავლებელნი იძულებულნი არიან ხშირად ბევრს მთხოვნელებს უარი უთხრან უადგილობისა გამო. ზემო რაჭაში მცხოვრებნი რაღაც უგულოდ უყურებენ სკოლებს. რაც სკოლები დაარსდა განსვენებული ჩიჯავაძის დროს, თორემ მერე ერთი სკოლაც არ გახსნილა იქ. შვილებსაც თავის დროზე არ აგზავნიან სკოლებში. ამის მიზეზი, ერთის მხრით ის უნდა იყოს, რომ ზემო რაჭაში სახნავ-სათესი ცოტა აქვსთ მცხოვრებთ, და რომ კაცმა წლის სამყოფი სარჩო მოიყვანოს, დიდი შრომა და ჯაფა სჭირდება და მეორეთ ბავშვებს ვერ აცლიან, რადგან ზემო რაჭაში პირუტყვის მოშენებას ძალიან მისდევენ და პატარა შვილები ამ ცხოველების მოსამწყესად სჭირდებათ. შეიძლება, რომ ზემო რაჭველმა დიდის თხოვნით გამოგზავნოს შვილი სკოლაში, მაგრამ თუ მასწავლებელმა ყმაწვილს გამოუცხადა რამე სასწავლო ნივთის სყიდვა, მეორე დღეს სკოლაში 10 შაგირდში სამიც აღარ მოვა. ერთი სიტყვით მოსწავლენი არც სკოლაში მოსვლას ჰკითხავენ მასწავლებელს და არც წასვლას. ნებავთ მოვლენ სკოლაში და ნებავთ არა. რა ჰქნას საწყალმა მასწავლებელმა? რა რიგით დააწყოს სწავლის საქმე და ან რა უჩვენოს თავის მეუფროსეთ? ამაზე, ურიგო არ იქნება, რომ ყურადღება მიაქცევდნენ.

მღვდელი ერასტი გაბიჩვაძე.

მარტვილიდამ.

როცა პირველად მობრძანდა თავის ახალს ეპარქიაში ყოვლად სამღვდელო გრიგორი, მას დიდის ალტაცებით ეგებებოდა ხალხი და ულოცავდა მას ეპისკოპოსობის ხარისხზე ასვლას და გურია-სამეგრელოში ეპისკოპოსად დანიშვნას. ყველგან შესაფერ სიტყვებს ეუბნებოდენ ყოვლად სამღვდელოს. სხვათა შორის, მოგვყავს შესხმა, თქმული ბლაღოჩინის მღვდლის მ. სიმონ ელიავასაგან. აი ეს შესხმა:

ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო,
უმოწყალესო მწყემსთ-მთავარო!

აწინდელი ესე ბედნიერი შემთხვევა თქვენი მღვდელმთავრად კურთხევისა, დიდი ხნიდამ სანატრელი და მოსალოდნელი თქვენი საყვარელი სამშობლოსათვის, მაბედვინებს უღრმესის თანაგრძნობით და აღტაცებულის სიხარულით მოგილოცოთ ზეგარდამო განგებით მონიჭებული და მოვლენილი მწყემს-მთავრობა და აღსვლა მაღალს კათედრაზედ ძველიდგანვე დაარსებულთ და აწ შეერთებულთ, ფრიად ვრცელთა და შესანიშნავ ეპარქიათა. ესრეთი მძიმე ტვირთის საზიდავად, ესრეთი მრავალმნიშვნელოვანი მოღვაწეობის ასპარეზზე სამოქმედოდ და ესრეთი მაღალის ხარისხით შესამოსავად, როგორიც არის მწყემსთ-მთავრობა,—უზენაესი განგება მოუწოდებს ხოლმე რჩეულ პირთა და არაოდეს არ უნდა მიეწეროს კაცის ამ მაღალ ხარისხზე აღსვლა უბრალო შემთხვევას და არ უნდა ჩაითვალოს დროთა-ვითარების, ანუ ხელ შემწე გარემოებათა ნაყოფად, ამას გვიმტკიცებს,—თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, თქვენი, ასე ვსთქვათ,—ზნეობრივ განვითარების კიბეზედ უმდაბლესი საფეხურიდგანვე მტკიცე, დიდ სულოვნად მომთმენი, მხნე და სახელოვანი აღმამსვლელობა აღსასვლელად ამ უმაღლეს ხარისხამდე, რომელიც თქვენ დღეს ღირსეულად დაიმსახურეთ უმაღლესად განვითარებით, ღვთისაგან თქვენდამი უხვად მონიჭებულ ნიჭიერებათა თქვენი საკუთარის დაუღალავი შრომითა და მეცადინეობით. სიყრმიდგანვე მოყოლებული თქვენი ცხოვრება უმანკოა და მდიდარი მრავალ-გვარი ფრიად ნაყოფიერი სამსახურით. ვინ არ იცის თქვენი სამაგალითო სამისსიონერო მოღვაწეობა, თქვენი გონიერი და გამჭრიახი დროებით ეპარქიის მმართველობა, თქვენი მართლ-მსაჯულების სიყვარულით და ბრძნული წინ დახედულობით განვლილი სამსახური წევრობის თანამდებობაზე საქართველოს საექსარხოსოს უმაღლეს სასულიერო სასამართლოში.—ერთი მეორეზედ სახელოვანი ესე მოღვაწეობანი თქვენნი, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, ცხად-ყოფენ ყველასთვის, რომ თქვენ განგება გიმზადებდათ უფრო ფართო და გონიერს სარბიელს თქვენი მოღვაწეობისათვის და, აჰა, დღეს თქვენ, მცირესა ზედა სარწმუნო, მრავალსა ზედა დაგადგინათ «მან» და უმოწყალესად გებოძათ მაღალი ესე ხარისხი.—დროიდგანვე თქვენის იღუმენობისა უკვე ცნობილი ყველა საქართველოს შვილისაგან თქვენი შესანიშნავი სასულიერო მჭევრ-მეტყველობა, თქვენს სამღვდელ-მთავრო წარჩინებულ ღირსებათა შორის შეადგენს ისეთს უძვირფასესს სამკაულს, რომელიც უპირველეს იარაღათ უნდა ჩაითვალოს ამ თქვენ ახალს ასპარეზზედ, მოღვაწეობის ნაყოფიერად დაგვირგვინებისათვის; თქვენმა მჭევრ-მეტყველების ძალამ უნდა გაუღოს კარი სასუფეველისა მრავალთა ზნეობით დაცემულთა ქრისტიანეთა და შესძინოს ეკკლესიას მრავალნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკარგულნი ცხოვარნი, თქვენმა ძლიერმა სიტყვამ უნდა გააძლიეროს და გაამხნეოს სარწმუნოებით სუსტნი, გაა-კეთილშობილოს გულით ყალბნი და მდაბალნი, უნდა განფანტოს ყოველნი ცრუ-მორწმუნეობანი და მავნებელნი სწავლანი და ნაცვლად ყველა ამა ბიწიერებათა თქვენდამი რწმუნებულს სამწყსოს მოჰფინოს სასუფეველი ღვთისა, ცხოველი სწავლა ქრისტესი და მაცხოვნებელი მადლი სული-წმიდისა.

სიამოვნებით მაგონდება მე აქ, სხვათა შორის, ერთი შესანიშნავი მაგალითი თქვენის მჭევრ-მეტყველების ძლიერი ზედ მოქმედებისა. ერთხელ სპარსეთის შახის ცივი გულიც კი იმდენად მოინადირა და გაათბო თქვენმა მჭევრ-მეტყველურმა სიტყვა-მოძღვრებამ, რომ მან დიდი სასოებით გიბოძათ ჯილდოთ სამღვდელ-მთავრო შესანიშნავი ძვირფასი კვერთხი, რომელიც უკვე ჟამთა-ვითარებისა გამო საქართველოდგან ყოფილა წარტაცებული ჩვენი წინაპართა ბრძოლის დროს სპარსეთთან.

თუმცა ყველა ესე თქვენი ღირსებანიც საკმაო არიან, რომ სრულიად ბედნიერი გახადოთ ყოველი სამწყსო თქვენი ღირსეული მწყემს-მთავრობით, მაგრამ ჩვენ კიდევ გვაქვს განსაკუთრებითი მიზეზი, რომელიც აორკეცებს და ასამკეცებს ჩვენს დღევანდელს ბედნიერებას თქვენის მღვდელ-მთავრობის ღირსად გახთომისა გამო. ეს ისაა, რომ თქვენ ბრძანდებით ღვიძლი შვილი იმ ქვეყნისა, დაბადებული და აღზრდილი იმ ერის კალთაში, რომელიც დღეს გებოძათ თქვენ სამწყემს-მთავროდ, ამიტომ თქვენ ზედ-მიწევნით იცით თქვენი აწინდელი სამწყსოის ყოველ-გვარი ავ-კარგიანობა, ტკივილები, ნაკლულევანებანი, მოთხოვნილებანი და საჭიროებანი, მაშასადამე თქვენ ხელთ გიპყრიათ ერთი უსაჭიროესი საშვალება თქვენის სულიერის მკურნალობისა. სნეულის განკურნვა მკურნალს ძნელად შეუძლია, თუ კარგად არ იცის მისი ტკივილი და აგრეთვე ის მიზეზები, რომელთაც დაბადეს ავათ-მყოფობა.

დასასრულ ყოველთა ვისურვებთ, მანვე დაუსაბამო ღმერთმან დიდ ხან განაგრძოს ნაყოფიერი მსახურება თქვენი მონიჭებულს ეპარქიაში სასარგებლოდ ქრისტეს ვენახისა და მამულისა.“

ოქროს გული.

(მოთხრობა რუსულიდგან).

I.

სოფლის მღვდლის პატარა სახლში, ხატების წინ ბრწყინვალეთ ანათებდა კანდელი. ფიცრებით იყო გატიხრული ეს სახლი ორ ოთახათ: დარბაზათ და საწოლ ოთახათ, საიდგანაც მოისმოდა მძინარე კაცის ხვრინვა. მესამე პატარა ოთახიდგან, სადაც ტანისამოსები ეკიდა, მოისმოდა მოხუცებული ქალის ლოცვის მსგავსი სიტყვები: «უოვლადა წმიდაო ღვთის-მშობელო, მომიტევე მე ცოდვილსა!» კედლის საათი მარტო ათს საათს აჩვენებდა. გვიან არ იყო, მაგრამ მთელი სოფელი ღრმა ძილით იყო მოცული; მხოლოდ მღვდლის სახლში, ხატების წინ, კიდევ ანათებდა სანთელი, სადაც ოთხ-კუთხიან სტოლს აქეთ-იქით უსხდნენ თეთრ ხალათებში ჩაცმულნი ორნი პირნი. მშვენიერათ გაწმენდილი იატაკი, დაფარული ფარდაგებით, კედლები რელიგიოზურ შინაარსიანი სურათებით შემკულნი და ღამის სიმშვიდე, სწორეთ რომ რაღაც შესანიშნავ სილამაზეს ჰფენდა სოფლის მღვდლის სახლს. სახლი, განათებული სანთლებით, მოაგონებდა კაცს რომელიმე მოხუცი ბერის წყნარ ბინას, ვიდრე მცოჯახისას. თეთრ ხალათებში მსხდომნი მობაასენიც დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდნენ კაცზე ამ მშვენიერ ღამეში. ერთი იმათგანი თმით და წვერ-ულვაშით თავის პერანგის მზგავსათ იყო გათეთრებული, მეორე კი მაყვალსავით შავი თვალებით და თმით იყო. ესენი იყვნენ ორნი ერთმანეთთან დაახლოვებულნი არსებანი — მამა და შვილი ორივენი მღვდელნი. ერთი ასრულებს თავის ცხოვრებას, მეორე კი ეხლა იწყებს. ერთი იყო სამოც-და-ათ წელზედ გადაშორებული — მეორე კი ოც-და-ხუთისა ანუ ოცდა ექვსისა. საწოლ ოთახში კრთხულობდა ლოცვას მოხუცი მღვდლის ცოლი და ახალ-გაზდა მღვდლის მეუღლე კი ლოგინში იწვა. მოხუცი მღვდლის შვილი — ახალ-გაზდა მღვდელი მოვიდა მოხუცი მშობლების სანახავათ. იგი ახალ-გაზდაა; მეორე წელიწადია, რაც მღვდლათაა, მაგრამ ძლიერ საძნელო აღსასრულებლათ მოეჩვენა მას სასულიერო სამსახური. იგი არ იყო კმაყოფილი თავის ბედისა, თავის მდგომარეობისა; არ მოსწონდა მას არც ტანისამოსი და

არც სამსახური. თავის ბედის უკმაყოფილებით ის გაანჩხლებული და დანაღვლიანებული იქამდის შეწუხებულია, რომ თავის მამას თითქმის უკმაყოფილებას უცხადებს და ჭიზღით აუწერს მას თავის მღგომარეობას და ბედს.

— წარმოიდგინეთ, მამაო, თეითეული გლეხის დამოკიდებულების ქვეშე უნდა ვიყვეთ, გავხდით ყველასაგან დაცინვის საგნათ, ასე გაშინჯე,, რომ სოფლის მწერალიც კი დაგვცინის, ეთმენულობთ ყოველ გვარ ტანჯვას და სილარიბეს და ამასთან ეიმდაბლებთ თავს ყველას წინაშე.

— აი ჩემო საყვარელო მეგობარო, ესეები ყოფილან და იქნებიან, მაგრამ ღვთის შემწეობით კიდევ ცოცხალნი ვართ: ყოველ წოდებაში, და ყოველ საქმეში შეუძლია, შვილო, შრომის და ბედნიერების სიტკბოს გაგება კაცს, თუ ღმერთი არ დავიწყებია.

— ეს ყველაფერი ესეა, მამაო, მაგრამ ყველაფერ ჩვენ საქმეში დამაბრკოლებელი გარემოებანი გვეჩხირებიან გზაში; ვერაფერ საქმისათვის რიგიანი გზა ვერ მიგვიცია, რომ მართებლობამ რაიმე სხვა მიზანი არ მოგვაწეროს.

— შენ, ჩემო მეგობარო, კიდევ ახალ-გაზდა ხარ და მიტომ ფიცხობ და ჯავრდები ეგრე... მე მოგიყვები, შვილო, ჩემი ცხოვრების ამბავს, თუ როგორ დავიწყე ცხოვრება, როგორ მიცხოვრნია და ან როგორ მოვახწიე აქამომდე. ეს შენ გამოგადგება, მით უმეტეს, რომ ის გარემოებანი და ფიქრები, რომელნიც შენ გაფიცხებენ და გაჯავრებენ, შენს დროს მეც მაფიქრებდნენ და ეგრე მტანჯვიდნენ. მეც, შვილო, იმავე სულიერს სიმძიმეს ვგრძნობდი, რომელიც შენს სულს სტანჯავს ამ ჟამათ.

II.

ბრძელია ჩემი ცხოვრების აღწერა, დაიწყო თავის მოთხრობა მოხუცმა. ეს მეორმოცდაათე წელიწადია, რაც მღვდლათ ვარ და ემსახურებ, როდესაც მოვიფიქრებ, მოვიგონებ ყველაფერს და დაუკვირდები კარგათ, ეიტყვი: მეც ვიყავი ერთ დროს ახალ-გაზდა, ჩემს მკერდშიდაც სცემდა ერთ დროს ახალ-გაზდური გული, ჩემს ცოდვილს აგებულებასაც იჭიდავდნენ ხორციელნი ნეტარებანი, ჩემს გულსაც მოსწონდა და იჭიდავდა, არამც თუ სასულიერო წოდებაში სამსახური, არამც თუ სოფლის მღვდლის თანამდებობა, არამედ მივილტოდი ქვეყნიურის ცხოვრებისადმი, და სახორციელო სამსახურისადმი, რომელი სამსახურიც მე მომწონდა. მაგრამ უფალს ღმერთს ნებავდა ჩემი მოწოდება მღვდლათ; ჩემი ფიქრები ისევ ფიქრებად დამრჩენ და ღვთის ნება აღსრულდა ჩემზედ. როგორც ეხლაც წარმოიდგენ ხოლმე ჩემ თავს, მე ვიყავი მაშინ სულ 22 წლისა, როდესაც პირველათ ჩავიცვი მღვდლის შესამოსელი და მივიღე მღვდლობა. მაშინდელს ჩემს ახალ-გაზდა გულში და თავშიდაც იყო იდეალები, მიმრავლდებოდნენ სურვილნი ყველაფერი ჩემებურათ გადამებრუნებია. მსურდა ჩვენს მივიწყებულ უწყებაში ნათელი მომეფინა, მსურდა ერთგვარი და გაჭიანურებული დიაკვნის გალობა შემეცვალა მშვენიერის და განწყობილის გალობით, წიგნებიდგან წაკითხულის ქადაგებების მაგიერ ახალ-ახალი ქადაგებანი თვითონვე დამეწერა და მექადაგნა ხალხისათვის... წავედი ქალაქიდგან, შუაგულ სოფელში, სადაც ვიყავი მღვდლათ დანიშნული და ვეძლევი ფიქრებს, ვაწყობ პლანებს სხვა-და-სხვა ცვლილებისას, რომელიც უნდა მოვახდინო ჩემს ახალს ადგილზედ. ჩემი ახალ-გაზდა მეუღლე როდესაც შენიშნავდა, რომ მე დავფიქრდებოდი, მეუბნებოდა: «რა დაგემართა, რომ სულ ასე დაფიქრებული ხარ, მე მაინც დამელაპარაკე—მოესწრები ფიქრს და დარდებსაც!» დაუწყებ მას მუსაიფს ამაზე, იმაზე, აქაურზე, იქაურზედ, მაგრამ ამ ცვლილების ფიქრები თავიდგან მაინც არ მშორდებიან. აი მივედი იმ ადგილამდისაც, სადაც მე უნდა დამეწყო ცხოვრება, სადაც მე უნდა მემწყსო სამწყსო ქრისტესი. ეს იყო შემოდგომის დამლევს. სახლი, რომელიც შევიძინე, იყო ძლიერ ცივი, შეშაც ერთი ღერი არ მქონდა, ბეღელში პური არ იყო და ჯიბეში ფული მხოლოთ სამი მანეთი-ღა მეგდო! მივდივარ დილას ეკკლესიაში—იქაც სიცივე, სინოტიავე და სილარიბე მეცა თვალში. დავბრუნდი გულ-შეწუხებული ისევ შინ... დამხვდა შინ გლეხი და მთხოვა სახლის მოკურთხევა და ყმაწვილის მონათვლა. მჭვარტლიანი სახლი, ყოველ მხრივ კარებ დაღებული, კენესა მშობიარე ქალისა, ტირილი ახალი დაბადებულისა. აი რა წარმოუდგა ჩემს თვალებს. უკითხავ ქალს ლოცვას და თვითონ კი გული მიცემს, რადგან მიჩვეული არ ვიყავი. ვასრულებ ნათლის-ღების წესს და თვალებიდგან ცრემლები მომცვივა; არ არის წმინდა ჭინჭი, არ არის პატარა მიტკლის ნაჭერი, რომ ახლად მონათლული ყმაწვილი გავხვიოთ. მე კი გამოტეხით უნდა გითხრა, ეპირებდი ნათლის-ღების შესრულების შემდეგ ამეხსნა ხალხისათვის: რას ნიშნავს თეთრი ტანისამოსი ნათლის-ღების დროს, რომელშიდაც გაახ-

ვევენ მონათლულს, ან რას ნიშნავს ემბაზის გარს შემოვლა და კმევა, მაგრამ როდესაც თეთრი ტანისამოსის მაგიერ ყმაწვილი რაღაც ძველ ძონძში იყო გახვეული და ემბაზის მაგიერ რაღაც ხის როფი მოიტანეს, ეს მომზადებულნი ახსნანი ჩემთანვე დარჩნენ!...

თ. ხუსკივაძე.

(გაგრძელება იქნება)

ახალი ამბები და შენიშვნები.

მართლ-მადიდებელი ძმობის გამგეობამ მოკლე დროით, როგორც წინეთაც ჰქონდა გამოცხადებული, შეაჩერა წიგნაკების ბეჭდვა და ეხლა ჰკრებს საჭირო ცნობებს, რომ შემდეგისათვის დაადგეს ერთ გაკვალულ გზას. წინეთაც გამოვაცხადეთ და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ხვედრი ფულები წიგნაკებისა უნდა იქმნეს გაგზავნილი ძმობის გამგეობის თავს-მჯდომარისადმი.

***

ზოგიერთი ბლაღ. ჩვენზე უასაფუძველო საყვედური გავიგონეთ იმის შესახებ, რომ აღსარებითი სიების და მეტრიკების შავი ბლანკების ფურცლებს ძვირად ვყიდულობთო. სტამბა, სადაც დღემდის „მწყემს" ვაბეჭდინებდით, ჩვენი საკუთრება არ იყო. ამისთანა საჭირო საბუთების ბლანკებს ჩვენც იმფასად ვყიდულობდით, როგორც სხვები. დღეს ყველა მსურველს ჩვენი საკუთარი სტამბიდამ სხვაზე უფრო იაფად შეუძლია მოიპოვონ ეს ბლანკები.

***

მღვდლის ათანასე თოფურიძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი პასუხი:

„ამა წლის „მწყემსის" მე 4 №-ში ამბავი იყო დაბეჭდილი ჩემ შესახებ ამპაკო ცომაიასაგან, რომ მე მიცვალებულის ეკლესიაში შესვენების ნება არ მივეცი ვითომ ხალხს. აი როგორ იყო ამის გარემოება. ზემო ხსენებულის ცომაიას დედის განსვენების დროზედ ჩვეულებრივი ტირილი და ყოველივე მღვდელ მოქმედება შესრულებულ იყო; საღამოს დროს მიცვალებული გავასვენეთ ეკლესიის გალავანში დასამარხავად, მაგრამ ნაცვლად დასაფლაველისა ბ. ცომაიამ ითხოვა ეკლესიის შიგნით დასვენება იმ ღამეს, მაშინ როდესაც არა ვითარი საჭიროება ამას არ მოითხოვდა; დიდი ხნის გაჩერებულიც იყო მიცვალებულის გვამი დაუსაფლაველად. მაგრამ მას სურდა რაიმე ნაირად შეესვენებინა ეკლესიაში და შემდეგ დაესაფლაველებინა მიცვალებულის გვამი ეკლესიაში წინააღმდეგობით და მთავრობის ნება დაურთველად; ეს მისი განზრახვა ვიცოდი და ამისათვის, მართალია, ნება არ მივეცი და ეკლესიის კარი არ გაუღე დასაცველად ეკლესიური წესებისა.»

***

ჩვენ მივიღეთ მამა ბლაღოჩინის იოსებ წერეთლისაგან შემდეგი წერილი:

„ძველი ქართველები ისეთი მოშიშნი იყვნენ ეკლესიის და ხატისა, რომ ხის ტოტის ჩამოგდებაც ეკლესიის გალავანში დიდ ცოდვათ მიაჩნდათ, თორემ ხატის და ეკლესიის ნივთს ვინ ახლებდა ხელს. ამ ჩვენ დროში კი შუადღისას არ ზოგვენ ეკლესიას გასაცარცვათ. 12-ს მაისს, შუადღეზე შევიდნენ ავაზაკები ითხვისის იოანნე ნათლის-მცემლის ეკლესიაში და რაც 7-ს ნოემბერს 1884 წელში დარჩათ წაუღებელი ნივთები, სულ გამოიტანეს. ერთი ავაზაკთაგანი 12 წლის ბავშვი აზნაურის დ. წ. იმავე დღეს დაიჭირეს, რომელიც ყოველიფერში გამოტყდა და დაასახელა სხვანიც, მაგრამ ისინი ჯერ ვერ დაიჭირეს. არც ერთ ეკლესიას აქვთ ყარაული არა ჰყავს, თუმცა განკარგულება კი არის.»

უკანასკნელი დროის ზოგიერთი საყურადღებო

ტელეგრამები.

8 მაისს.

პეტერბურგი. ოფიციალური დეპეშა სევასტოპოლიდგან გვაუწყებს, 6 მაისს მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღეს ხელმწიფე იმპერატორისა და ხელმწიფე იმპერატრიცის თანა-დასწრებით დიდი ამბით

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკურთხეს ალექსეევის დასავლეთის „დოკი'', ჩაუშვეს წყალში ორ-ჭახრაკიანი ჯავშნიანი ხომალდი «ჩესმა» და დაიწყეს შენება სამის ფოლადის საკონონერო ნავისა. ყველა ეს ამბავი დიდის ყოფით მოხდა, მეტადრე დიდის ყოფით ჩაუშვეს ხომალდი. სალამოს კრეისერ „Москва"-ზე, რომელზედაც ბინა აქვსთ მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა, სადილი იყო მომზადებული და სადილად მიწვეულნი იყვნენ, ამალისა და მოხუცებულთ ჩერნო-მორელთ გარდა, ფლოტის მაღალ-ხარისხოვანნი მოხელენი და გემების კომანდირები. სადილის შემდეგ სევასტოპოლი და გემები განათდა ჩირაღითა და ელექტრონის მზეთა-მიერ; წვიმამ ძალიან დაუშალა ჩირაღსა და შუშხუნების აშვებასა.

გამოცხადებულ იქმნა ბრძანება შავის-ზღვის ფლოტის მიმართ: გავიდა თითქმის ოც-და-ათი წელიწადი მას აქეთ, რაც შავი ზღვის ფლოტმა დიდი ქველობა გამოიჩინა, სამშობლოს სიკეთეს შესწირა თავი და სული სევასტოპოლის მარად სახსოვარ გორებზე დაისადგურა. დღეს კვლავ ფუძნდება იგი ფლოტი მისთვის მგლოვიარე სამშობლოს სასიხარულოდ. გონება და ფიქრი ჩემი იმაზეა მიმართული, რომ მშვიდობიანად განკარგებულ იქმნას ერის კეთილ-დღეობა; მაგრამ შეიძლება გარემოებამ გამიძნელოს ჩემი სურვილის შესრულება და იძულებულ-მყოს შეთოფ-იარაღებულმა დავიცვა სახელმწიფოს ღირსება. თქვენც ჩემთან ერთად დაიცავთ ამ ღირსებას იმ ერთგულებით, რომელმაც გააკვირვა თანა-მედროვენი, იმ სიმტკიცით, რომელიც თქვენმა წინა მოადგილეებმა გამოიჩინეს პაპის ჩემის მოწოდებით ზღვაზე,—ეს ზღვაა მათის თავ-განწირულების მოწამე. მომინდვია თქვენთვის, დაიცევით პატივი და მშვიდობიანობა რუსეთისა.''

რადგანაც ცალკე კომისია საერო განათლებისა უმაღლესის საქალებო განათლების საქმის განხილვაშია, ამ სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ ეხლავე შესწყდეს მიღება ქალთა-მსმენელთა ამ სამინისტროს უწყების უმაღლესს კურსებზედ.

მღვდელთა საყურადღებოდ.

სტაროსტების დაფიცების შესახებ.

ამ დღეებში გამოიცა იმერეთის ეპარქიაში ცირკულიარული მიწერილობა ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ ბლაღოჩინებზე, რომლითაც მათ ებრძანებათ დაფიცება ახლად აღრჩეული სტაროსტებისა. დღემდის ვგონებ არა თუ იმერეთის ეპარქიაში, არამედ სხვაგანაც არ აფიცებდნენ სტაროსტებს. რუსეთში კი დიდი ხნიდამ არის შემოღებული სტაროსტების დაფიცება თანამდებობის მიღების დროს, თუმცა ამ დაფიცების შესახებ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი უმაღლესად დამტკიცებულს სტაროსტების ინსტრუკციაში. რუსეთის ეპარქიაში მრავალს ადგილას მღვდლები თვითონ შეადგენდენ მათ დასაფიცებელ ფიცის ფურცლებს და ამის გამო ფიცის ფურცელი ერთი და იგივე არ იყო. ბოლოს დროს საჭიროდ დაინახეს, რომ სტაროსტებსაც ისეთი ფიცი მიეღოთ, რომელსაც ახლად აღრჩეულნი სხვა თანამდებობის პირები მიიღებდენ ხოლმე ხელმწიფის სამსახურის ერთგულებაზე.

სტაროსტა ვალდებულია ეს ფიცი მიიღოს პირველ აღრჩევის დროს სტაროსტად მრევლთაგან; მეორედ აღარ არის საჭირო ფიცის მიღება ერთჯერ დაფიცებულისაგან.

სად უნდა დააფიცონ თავის თანამდებობაზე სარწმუნოდ მსახურებისათვის? კანონებით თითქმის განსაზღრულია ის ადგილები, სადაც ფიცისადმი უნდა მოიყვანონ ერთად მრავალნი პირნი. ამისთანა ადგილებად ნაჩვენები არიან ეკკლესიები, მონასტრები და სობოროები. თითეული თანამდებობის პირის დაფიცებაზედაც ნაჩვენებია ეკკლესია და არა უბრალო ადგილი. ამისათვის, როდესაც საჭიროა ვისმეს დაფიცება, მღვდელმა უნდა წაიყვანოს იგი ეკკლესიაში, დასდგას შუა ეკკლესიისა ანალოგია, შევიდეს ტრაპეზში და შეიმოსოს ოლარით და ფილონით, აღსავლის კარებიდამ გამოასვენოს ჯვარი და სახარება და დაასვენოს ანალოგიაზე; შემდეგ მოიყვანოს ფიცისადმი დასაფიცებელი პირი, რომელიც მართლ-მადიდებელი სარწმუნოების იქნება. დასაფიცებელი პირი, თუ მან წერა-კითხვა იცის, თვითონ წაიკითხავს ფიცის ფურცელს მარჯვენა ხელის მაღლა აწევით და სამი თითის ერთად შეერთებით. თუ დასაფიცებელი უწერილოა, მაშინ მღვდელი წაიკითხავს ფიცის ფურცელს და დასაფიცებელი გაიმეორებს მღვდლისაგან წარმოთქმულ სიტყვებს გარკვევით და ხმა მაღლა.

მღვდელმა მიუცილებლად უნდა იცოდეს ზეპირად ფიცითი აღთქმა და შესწავლილი უნდა ჰქონდეს რიგიანად დაფიცება და საჭირო დარიგების მიცემა დაფიცების შემდეგ.

სამკურნალო მეცნიერებიდამ.

I.

დაბადებიდგან სიკვდილამდე, სადაც უნდა ვცხოვრობდეთ და რა ნაირ შრომასაც უნდა ვეწეოდეთ, ყველგან და ყოველთვის ბრძოლა დაგვჭირდება, ბრძოლა ბუნებასთან და ბრძოლა მსგავსთათანა. სამარის კარამდე ამ დაუცხრომელ ბრძოლაში გამარჯვების იმედი მხოლოდ იმას უნდა ჰქონდეს, ვინც ხორცისა და სულის სიმრთელით შეიარაღებულია. ამიტომაც სიმრთელეზე უძვირფასესს და უსაჭიროესს საუნჯეს კაცი ვერასოდეს ვერ შეიძენს, რამდენიც უნდა იკოცხლოს; მაშასადამე ჩვენ ყველანი ამ საუნჯის შეძენას უნდა ვსცდილობდეთ, ყოველს ჩვენს მისწრაფებას, ამ საგნისადმი მისწრაფება უნდა წინაუსწრობდეს. სამწუხაროდ ცხოვრების სინამდვილე და ყოველ-დღიური დაკვირვება წინააღმდეგს გვასწავებს. ჩვენ ერთგულად ვიცავთ ოქრო-ვერცხლით სავსე კიდობნებს, ვიცავთ დამპალ საქონლებს დუქნებსა და სარდაფებში, ვიცავთ სამზღვრებს უხილავის მტრისაგან, ვიცავთ მხეცებს, პირუტყვებს, ვივიწყებთ კი იმ სიმდიდრის დაცვას და პატრონობას, რომელსაც სიმრთელე ჰქვიან, სიმრთელე თვითოებრივი (ინდივიდიალური), სიმრთელე საზოგადოებრივი. ხშირათ ვისჯებით ამ ჭეშმარიტების დავიწყებისათვის და ერთიორად სასჯელი მოგვემატებოდა, რომ უანგარო და პირუთნეველი ბუნება აქაც ჩვენზედ არა ჰზრუნავდეს: იგი განგებ გვმოსავს ჩვენ კანით (სხვა ცხოველებს კი ტყავით, თმებით, ბუმბულით), რომელიც ურიცხვ მავნე ზედ-მოქმედებათაგან გვიცავს.

ავიღოთ თუნდ შემდეგი მოვლენა: ციანის პოტასი *) ხომ საშინელი საწამლავია, მაგრამ ამ საწამლავში რომ ხელი ჩავყოთ, ვნება არ მოგვეცემა კანის წყალობით, მაშინ როდესაც ესევე საწამლავი ცოტაც რომ დავლიოთ, ერთ წამში ამ სოფელს გამოგვათხოვებს. აგრეთვე ცნობილია, რომ შხამი შეგვიძლია უვნებლად პირში დავიგუბოთ, თუ პირის ბრკა (слизистая оболочка) დაზიანებული არა გვაქვს. წელების ბრკაც ამ ნაირადვე არ იზიდავს ფეინის შხამს, რომელიც არც ერთს საწამლავს არ დაუვარდება თავისის ძლიერებით. პირის-ღებინება, როცა მავნე სასმელ-საჭმელით მუცელს ავივსებთ, ხველება, როცა ბალღმით ფილტვები აგვემსება, თვალების პამპალი, როცა მტვერი თვალში ჩაგვივარდება, ფალარათობა, ცხვირის ცემინება და სხვა მრავალი განგებ იმისთვის მოუნიჭებია ჩვენთვის ბუნებას, რომ სიმრთელე დავიცვათ. ავად-მყოფობაშიაც ჩვენი საქმე ცუდად იქნებოდა, ვერც ექიმები და ვერც მათი წამლები ჩვენ სიკვდილიდამ ვერ გვიხსნიდნენ, რომ ბუნებისაგან მონიჭებულ ძალების წყალობით ავათ-მყოფობაში სენს არ ვებრძოდეთ.

ბინახავს თუ არა, მკითხველო, მდინარეში მოტივტივე ფიცარი, რომელსაც ტალღები ააქან-ჩააქანებენ, ან ერთის ნაპირიდგან მეორესაკენ გასტყორცნიან, მაგრამ ფიცარი მეორე გვერდზედ ცურავს არ ნებულობს: იგი დიდ-ხანს ცდილობს დაიცვას ის მდგომარეობა, რაც თავ-და-პირველ მიუღია. სწორედ ამ გვარს სურათს წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლეც, ავად-მყოფობას იგი მედგრად ებრძვის, სანამ ბრძოლის არაქათი არ გამოელევა და საბრძოლველი იარაღები არ შამოაცვდება. ადამიანის აგებულების სითბო-სიცივე, „ტემპერატურა“ (37 გრადუსია რემიურის) იმ ანგარიშით არის მეტი გარეშე ბუნების ტემპერატურაზედ, რომ ჩვენი თხელი ნაწილები არ შესქელდნენ, და ამ მიზეზით ქიმიური მოქმედებანი, პროცესები არ შეჰფერხდნენ. ზემოხსენებულ ფაქტებიდგან უნდა დავასკვნათ, რომ ადამიანს თავის სიმრთელის დასაცველად და ავად-მყოფობის განსადევნელად საკმაო უკუმქცევი (რეაქციონული) ძალები აქვს მინიჭებული ბუნებისაგან.

ახლა საჭიროა აქვე ჩვენის აგებულების სუსტი მხარეებიც აღვნიშნოთ. ადამიანის სხეული შემდგარია ბევრ-ნაირ ნაკეთთაგან, „ელემენტთთაგან“, როგორიცაა, მაგალითად, სასხლი, წყალი, ძვალი, ხორცი, ძარღვი, ტვინი, ჯიჯაყვები და სხვა მრავალი. ყველა ეს ნაწილები ისეთ ნაირის კავშირით არიან ერთი ერთმანეთზედ გადაბმული, ისეთი მტკიცე განწყობილება და თანხმობა სუფევს მათ შორის, რომ ერთის რომელიმე მათგანის ავად-მყოფობა ყველა ნაწილებს ავად ხდის, ერთის ნაწილის დაზიანება მთელ სხეულის ნაწილებ შორის ჩვეულებრივს თანხმობას ჰშლის და არღვევს. ფეხის იარას ან უბრალო თითის დაჭრილობას შეუძლიან მთელი ჩვენი სხეული შეარყიოს, მისცეს იგი განსაცდელს და ხშირად ბოლოც მოუღოს. ამ მხრით ჩვენი აგებულება ფინთიხით შელესილს შენობასა ჰგავს, მავნე გავლენა (ავად-მყო-

*) საშანელი საწამლავია.

ფობა)კი ცეცხლის ნაპერწკალს, რომლის შენობასთან მიახლოვება და ამ შენობის დაბუგვა—ერთის წუთის საქმეა. ვინ არ იცის, როგორის სისწრაფით ედება კაცს ხრწნადის გესლი,*) ან გველის შხამი. ამ გვარ შემთხვევებში მარტო ზემოხსენებულ უკუაქცევს ძალებზედ დამყარება შეუძლებელია, მას უნდა მივახმაროთ ჩვენი ხელოვნებაც. ე. ი. სხვა-და-სხვა სახმარნი, სხვა-და-სხვა აღმოსაჩენი ღონე.

პირველს ადამიანს უეჭველად დასჭირდებოდა ამ ხელოვნურთა საშუალებათა ძებნა. მშობიარეს მოვლა უნდა, ახლად დაბადებულს ჭიპის მოჭრა ეჭირება და მერე შეკვრა, რომ სისხლისაგან არ დაიწრიტოს. საჭმლის მომზადება, თავ-შესაფარის ადგილის რჩევა და სხვა მრავალი ამ გვარი საგნები პირველს ადამიანებსაც დააფიქრებდა. ვსთქვათ, რომ დიდის ხნის შემდეგ, როგორც იქნა მიაგნეს იმ მარტივ სახსართა, რომელთა მეოხებით ადამიანმა ადამიანი სიკვდილისაგან იხსნა, ყმაწვილს ჭიპი შეუკრა, დაჭრილობიდგან მჩქეფარე სისხლი შესწყვიტა, საჭმელი მოხარშა, რომ უკედ მოენელებია მის კუჭს, იარა გალოკა, ისე როგორც ძაღლი ილოკავს თავის იარას, ეს ცოდნაც საკმაო იყო, რომ აქედგან საფუძველი დასდებოდა იმ ხელოვნებას, რომელსაც მკურნალობას ეუწოდებთ და რომლის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის სიმრთელის და სიცოცხლის დასაცველად სხვა-და-სხვა ღონე აღმოაჩინოს და შეამუშავოს. ეს ხელოვნება ძრიელ ძველი ხელოვნებაა და ცოტად თუ ბევრად განვითარებული იგი ყოველს ხალხს მოეპოება, რადგანაც თავის მოვლა ყოველ ადამიანის თან-შობილ თვისებას შეადგენს. რასაკვირველია, ძველი მკურნალობა სხვა იყო და ახალი სულ სხვაა, ასე რომ ეხლანდელს მკურნალობას ძველს მკურნალობასთან შედარებაც კი ეთაკილება. რას ვეძახით ძველს მკურნალობას, ან რით განსხვავდება ძველი მკურნალობა ახლისაგან?

მკურნალობის ისტორია საზოგადოდ ორ მთავარ ხანად (პერიოდად) განიყოფება. პირველი ხანი იწყება უხსოვარის დროიდგან და მოდის მეჩვიდმეტე საუკუნემდე ქრისტეს აქეთ. ამ ხანას უწოდებენ აღმოსავლეთის, ანუ საბერძნეთის მკურნალობის ხანას, მეორე ხანა იწყება მეჩვიდმეტე საუკუნიდგან და მოდის ჩვენ დროამდე. ამ ხანას უწოდებენ ახალს, მეცნიერულს ხანას მკურნალობისას. ამ უკანასკნელს ხანას უკვდავმა გარვეიმ დაუდვა საფუძველი. გარვეიმ პირველად აღმოაჩინა და შემდეგ გამოაქვეყნა მილებში სისხლის ტრიალის კანონი, ამასთანავე აღნიშნა ის მნიშვნელობა, რა მნიშვნელობაც გულს აქვს ამ სისხლის მოძრაობაში. ხსენებული შრომა გარვეის შემდეგში შეიქნა ფიზიოლოგიის და მთელ სამკურნალო მეცნიერების ქვა-კუთხედად. ამ დროიდგან თითქმის შესწყდა კავშირი ძველს და ახალს მკურნალობათა შორის, ძველს მკურნალობას მოეხადა მეცნიერების ხარისხი, ახალს კი დაულოცა გზა და მიენიჭა ჭეშმარიტი ცოდნა და ძლევა მოსილობა. განსხვავება ძველს და ახალს მკურნალობათა შორის დიდია და ვისაც სურს ამ განსხვავების ნათლად წარმოდგენა, მან მოიგონოს ძველ დროების სწავლა მოძღვრებანი, ფილოსოფიურნი და რელიგიურნი და შეადაროს იგინი ეხლანდელს რეალურ მეცნიერებასა. საქმე იმაშია, რომ ეხლანდელი მკურნალობა სრულიად დამყარებულია ეხლანდელს რეალურს მეცნიერებებზედ, მაშინ, როდესაც ძველი მკურნალობა ან ემორჩილებოდა და ან მხარ-და-მხარ მისდევდა ძველ დროების ფილოსოფიურ და რელიგიურ მოძღვრებას. და ამ უკანასკნელებისა არ იყოს, ისიც მიზეზთა მიზეზის ძიებას ერთგულად ემსახურებოდა. უხილავ და გონებისათვის მიუწდომელ სფერაში ოცნებობით თავ-ბრუ დასხმულ ძველს მეცნიერებს, მათ შორის ექიმებსაც, ავიწყდებოდათ ხილული ქვეყანა, მისი უთვალავი საკვირველნი მოვლენანი, რომელნიც იშვიათად თუ მიიპყრობდნენ მათს ყურადღებას. რასაკვირველია, ამ გვარ მიმართულების წყალობით ძველს მეცნიერებს შეეძლოთ ბევრი ეწერათ და უწერიათ კიდეც იმაზედ, თუ ვინ დაუდვა საფუძველი სამყაროს, ვინ მისცა წესი და რიგი მოვლენათა, ვინაა ან სადაა ყოველ მიზეზთა მიზეზი, მაგრამ ბუნების კანონების შესწავლა საზოგადოდ და კერძოთ შესწავლა ადამიანის და ყოველ სულდგმულის აგებულებისა მათ არ იზიდავდა.

ანატომია და ფიზიოლოგია, ეს ორი ქვა-კუთხედი ეხლანდელის მკურნალობისა, ძველს დროში არ არსებობდა. აგრეთვე სხვა მრავალი შტოები ეხლანდელის სამკურნალო მეცნიერებისა და საზოგადოდ ყველა რეალური მეცნიერებანი სულ ახალ დროების ნაყოფს შეადგენენ, მაშასადამე ძველს დროში მათი ხსენებაც არ იყო. მკითხველს უნდა მოეგონოთ, რომ ეხლანდელ რეალურ მეცნიერებათა წარმატება და შეუფერხებელი ზრდა იმ მეთოდზედ არის დამ-

*) Трупный ядъ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყარებული, რომლითაც იგინი ხელმძღვანელობენ ბუნების მოვლენათა გამოძიების დროს და რომელსაც ეწოდება პოზიტიური მეთოდი. ამ მეთოდით აღჭურვილნი ეხლანდელნი ბუნების მეტყველნი (იგულისხმებიან ექიმებიც) ძველ მეცნიერებივით მიზეთა მიზეზის ძიებით თავს არ იტეხენ, გვერდს უქცევენ ამ გვარ საოცნებო საგნებს და ხელსა ჰკიდებენ მხოლოდ თვალ-საჩინო ფაქტებს და მოვლინებასა, უკვირდებიან და იკვლევენ ერთის მოვლენის მეორეზედ დამოკიდებულებას, კავშირს და ნათესაობას ამ მოვლენათა შორის და ამ გვარად რწმუნდებიან, რომ ერთი მოვლენა მშობელია მეორისა, ან უკედ ვსთქვათ, ერთი მოვლენა მიზეზია მეორისა. მიზეთა მიზეზის გაგება თუ ვისმე ესურვება, იმან უნდა დღესეც, როგორც ძველად, მიჰმართოს რელიგიას ან ფილოსოფიას,—რეალური მეცნიერება კი მას ვერ დააკმაყოფილებს. მახლობელი მიზეზი მოვლენისა ერთია, მხოლოდ ამ მიზეზის გამოწვევა ან წარმოშობა შეგვიძლიან სხვა-და-ხვა ნაირათ; სჯობს ეს აზრი მაგალითით განვმარტოთ: წყალი შესდგება ორის ატომის წყალ-მბადისა და ერთის ატომის მჟავ-მბადის შეერთებისაგან; აქედგან სჩანს, რომ წყლის მშობელი მიზეზი წყალ-მბადის და მჟავ-მბადის შეერთებაა, მიზეზი ერთია, მხოლოდ ამ მიზეზის გამოწვევა შეგვიძლია სხვა-და-სხვა ნაირად: ზოგიერთ ხ ი მ ი კ უ რ შედგენილობების დაშლით, წყალ-მბადის გათბობით მჟავ-მბადში და სხვა-და-სხვა.

სწორეთ ამ გვარის მიმართულებისა და მეთოდის მეოხებით, სულ მოკლე დროის განმავლობაში, მიაღწიეს განვითარების მაღალ წერტილამდე ფიზიკამ, ხიმიამ, ფიზიოლოგიამ, ანატომიამ, ბოტონიკამ, ზოოლოგიამ და სხვათა მრავალთა მეცნიერებათა, მათ შორის მკურნალობამაც, რადგანაც ეხლანდელი მკურნალობა ზემოხსენებულ რეალურ მეცნიერებათა ღვიძლ შვილად ირიცხება. ჩამოაცალეთ ეხლანდელს მკურნალობას რეალური მეცნიერებანი თავის მეთოდით და ხელში შეგრჩებათ ძველი, ესრედ წოდებული ემპირიული მკურნალობა. („Ივერია“)

განცხადება.

ს ტ ა მ ბ ა

მ. დ. ღამბაშიძისა ᲓᲐ აზ. ე. ი. ხელაძისა.

სტამბა გაიხსნა მსწრაფლ-მბეჭდავი მაშინით და ყველა მოწყობილობით ქ. ქუთაისში 15 მაისს, 1886 წ. ქნიაჟესკის და ნემეცის ქუჩაზე, საქალებო გიმნაზიის პირ-და-პირ, მამაჯანოვის და ამირალოვის სახლებში.

იღებს ყოველ გვარ საბეჭდავ საქმეებს სხვა-და-სხვა ენებზედ. ფასი ყველა საბეჭდავზე ზომიერია. შეკვეთილი საქმეები დაპირებულ დროზედ ჩაბარდებათ ყველას.

სამღვდელოებას ყოველ-გვარი საჭირო ბლანკების დაბეჭდვა და მოპოება შეუძლია ზომიერ ფასად. ქალაქს გარეშე მცხოვრებთა შეუძლიათ მიმართონ ამ ადრესით: *Въ Кутаисъ, въ типографію Гамбашидзе и Хеладзе* ანუ *Въ Квирилу, въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь) и Въ Тифлисъ въ типографію Е. И. Хеладзе. въ собст. домъ.*

შ ი ნ ა ა რ ს ი: რედაქციისაგან. — საქართველოს საექსარხოსოში მართლ-მადიდებელი ღვთის-მშობლის სახელობაზე დაარსებული ძმობის მოქმედებისა გამო. — საშინელი მკვლელობა. — ალექსანდროპოლიდამ. — შორაპნის მაზრიდამ. — თბილისიდამ. — რაჭიდამ. — მარტვილიდამ. — ოქროს გული. — სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები. — ტელეგრამები. — მღდელთა საყურადღებოდ. — საშკურნალო მეცნიერებიდამ. — განცხადება.

რედაქტორი-გამომცემელი მღვ. დ. ღამბაშიძე.

Доз. цензурою Кутаисъ, 29 Мая, 1886 г.

მსწრაფლ-მბეჭდავი მღვ. დ. ღამბაშიძისა ᲓᲐ ე. ი. ხელაძისა.